ხელშეკრულება №08/10/8
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 24 ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ ააიპ ,,თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია", ს/კ 402008046 (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „აუდიტ-ცენტრი"-ს ს/კ 201990989 (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, ვაჟა ლალებაშვილის სახით, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების" შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13, მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის საფუძველზე, შევთანხმდის და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და შერჩეულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელზეც გაფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. **„მიმწოდებელი"** იღებს ვალდებულებას შეაფასოს **"შემსყიდველის"** კუთვნილი მოძრავი ქონება, კერძოდ, 2 (ორი) ერთეული ავტომანქანა, რომლის დასახელება წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი №1-ის სახით (შედგენილი ერთ გვერდზე) და მისი განუყოფელი ნაწილია;

მუხლი 3. სტანდარტები

3.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს

კანონის, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებების და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნას ინსპექტირების ჯგუფი ან პირი.

4.2. ჯგუფის ან პირის ფუნქციებია :

4.2.1. მისაწოდებელი და/ან მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

4.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1. ქონების შეფასებაზე მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლით გათვალისწინებულ მომსახურეობას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

5.3. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება შესაბამისი დასკვნების შემსყიდველისათვის გადაცემისთანავე.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარისსწორება მოხდება ლარებში.

7.2. გადახდის ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

მუხლი 8. ფასები

8.1. მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურების ფასი შეადგენს 120,00 (ასოცი) ლარს, დღგ–ს ჩათვლით;

8.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების

მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

8.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8.6 ხელშეკრულებას თან ერთვის ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურებისათვის გათვალისწინებული ფასების ცხრილი, რაც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს. აღნიშნულში არ იგულისხმება ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებამიმწოდებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირების მიერ.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორი

11.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 12. გარანტია

12.1. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

12.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოწვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს–მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების ოდენობისა.

13.3 პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან მომდევნო დღეს და გრძელდება ვალდებულების სრულ და ჯეროვნად შესრულებამდე.

13.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე :

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) ერთ–ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი დარღვეული იქნება მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები.

მუხლი 15. ფორს–მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ურთიერთმოლაპარაკებებით და შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 18. ხელშეკრულების ენა

18.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

მუხლი 19. შეტყობინება

19.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი 22. სხვა პირობები

22.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 24. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი: ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია", საიდენტიფკაციო ნომერი: 402008046, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 140ა/პასტერის 7

შემსყიდველის საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა – ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ/კოდი: TRESGE22

მიმწოდებელი; შ.პ.ს. "'აუდიტ–ცენტრი", საიდენტიფიკაციო ნომერი: 201990989, მისამართი; ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი №2, V სართული, ტელეფონი 2–94–16–33, 2–33–33–40
E-mail: auditcenter_ltd@yahoo.com

მიმწოდებელის საბანკო რეკვიზიტები: "თი ბი სი ბანკის" ცენტრალური ფილიალი
საბანკო კოდი TBCBGE22; ა/ა GE66 TB06 0000 0024 467523;

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ლაშა სამხარაძე ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-ს დირექტორი	ვაჟა ლალებაშვილი შ.პ.ს. "აუდიტ–ცენტრი"-ს დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

აუდიტური მომსახურების გაწევის თაობაზე 2016 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი №1

ა(ა)იპ "თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-ს კუთვნილი შესაფასებელი მოძრავი ქონების ჩამონათვალი:

№	დასახელება	სახ. ნომერი	რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ფასი)
1.	ავტომანქანა kia Picanto სარ. ნომერი KNABE511ACT129911	AA-288-AV	1	60.00	60.00
2	ავტომანქანა kia Picanto სარ. ნომერი KNABE511ACT132008	AA-289-AV	1	60.00	60.00
	სულ თანხა დღგ-ს ჩათვლით				120.00

„შემსყიდველი"

ლაშა სამხარაძე
ა(ა)იპ "თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიას" დირექტორი

„მიმწოდებელი"

ვაჟა ლალებაშვილი
შპს "აუდიტ-ცენტრის" დირექტორი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 24 ივნისი 2016წ.

ჩვენ ქვევით ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-სათვის აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მიმწოდებელი: შპს „აუდიტ-ცენტრი"

ლაშა სამხარაძე

თამაზ თურმანიძე

თეა ბორაშვილი

მიხეილ გიგაური

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 26.10. 2016წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, **ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია''**, მისი ადმინისტრაციის უფროსის თამაზ თურმანიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „აუდიტ-ცენტრი''** მისი წარმომადგენლის სახით, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 24 ოქტომბერს ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია''-სა და შპს „აუდიტ-ცენტრი''-ს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული „აუდიტორული მომსახურება'' მომსახურების მიწოდება განხორციელდა დროულად და ხარისხიანად.

მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს 120.00 (ასოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

„შემსყიდველი'' *„ მიმწოდებელი''*

თამაზ თურმანიძე